

საიდ. №76296/03

გ ა დ ა ო რ ი ა ტ ი ვ ი ე ტ ი ლ ე ბ ა №84-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), გ. დუდუჩავა, ი. მულაღაშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა შპს „შამი“-ის სააპელაციო საჩივარი (საიდ. №84-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 01 მაისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №512/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „MEGA“ (საიდ. №76296/03) დარეგისტრირება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-7 და მე-11 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 01 მაისის №512/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო

ნიშანი "MEGA" + გამოსახულება მსგავსია შპს "ილიონი"-ს (მისამართი: თაყაიშვილის ქ. 80, 6000 ბათუმი) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა "omega OMEGA" + გამოსახულება (რეგისტრაციის №15373; რეგისტრაციის თარიღი: 17/12/03) მე-7 და მე-11 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი ნიშნის სიტყვიერი ნაწილის "MEGA"-ს წინ მოთავსებულია წრეში ჩახატული სამი ურთიერთპარალელურად განლაგებული პარალელოგრამი. აღნიშნული წრე შეიძლება აღქმული იყოს, როგორ ლათინური ასო-ბგერა "O" და მთლიანობაში ჩანაწერი მომხმარებლის მიერ იკითხებოდეს, როგორც "OMEGA". აგრეთვე, წარმოდგენილი და დაპირისპირებული ნიშნების განსხვავებული გამოსახულებითი ნაწილის არსებობა არ სძენს სასაქონლო ნიშანს "MEGA" + გამოსახულება საკმაოდ განმასხვავებელუნარიანობას და იწვევს სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი შპს „შამი“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან როგორც გრაფიკულად (ვიზუალურად), ასევე, ფონეტიკურად (უღერადობით) და სემანტიკურად. დაპირისპირებული ნიშნები წარმოადგენენ კომბინირებულ ნიშნებს. განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ნაწილი შესრულებულია ლათინური მთავრული ანბანით, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშნის სიტყვიერი ნაწილი შესრულებულია ქართული და ლათინური ანბანით, ამასთანავე, განცხადებული ნიშანი თეთრ და წითელ ფერებშია შესრულებული, ხოლო რეგისტრირებული ნიშანი შავ-თეთრია. სრულიად განსხვავებულია დაპირისპირებული ნიშნების გამოსახულებითი ელემენტები. განცხადებული ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი წარმოადგენს წითელ წრეში მოთავსებული სამი ურთიერთპარალელური პარალელოგრამის გამოსახულებას, დაპირისპირებული ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი კი წარმოადგენს ბერძნული ასოს „ომეგა“ სტილიზებულ გამოსახულებას, რომელიც, ასევე,

წარმოადგენს სტილიზებულ ქართული ასოს „ო“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები იმდენად განსხვავებულნი არიან ვიზუალურად, რომ სრულიად გამორიცხულია მათი აღრევა და შესაბამისად, გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ. აპელანტის პოზიციით, ნიშნებს შორის გრაფიკული განსხვავება აისახება ნიშნების ფონეტიკურ მახასიათებლებზეც. განცხადებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც „მეგა“, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც „ომეგა“, რაც, ასევე, გამორიცხავს ნიშნების ერთმანეთში აღრევასა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. როგორც განცხადებულ, ისე დაპირისპირებულ ნიშანს გააჩნიათ სემანტიკური დატვირთვა, კერძოდ, განცხადებული ნიშანი ინგლისურ ენაზე ნიშნავს „დიდი; უზარმაზარი; ძალიან მნიშვნელოვანი; უკიდურესად“. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს „ომეგა OMEGA“, იგი წარმოადგენს ბერძნული ანბანის ბოლო ასოს და ხშირად იხმარება, როგორც მოვლენის ბოლო, დასასრული, მაგალითად, ფრაზაში „აღფა და ომეგა“. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-7 და მე-9 კლასების საქონლის კონკრეტული ჩამონათვლისათვის, მაშინ, როცა რეგისტრირებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი წარმოადგენს საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-7 და მე-9 კლასების დასათაურებას საქონლის დაკონკრეტების გარეშე და არ იძლევა საშუალებას, მკვეთრად განისაზღვროს, შ.პ.ს. „ილიონი“ -ს მიერ სასაქონლო ნიშნით წარმოებული საქონელი მოიცავს თუ არა განცხადებული ნიშნით ნიშანდებულ მე-7 და მე-9 კლასების საქონლის კონკრეტულ ჩამონათვალს. აპელანტის მითითებით, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ნიშნების მსგავსების დადგენისას ექსპერტიზამ არ გაითვალისწინა უწყებაში არსებული პრაქტიკა, კერძოდ, საქპატენტში სხვადასხვა კლასების საქონლის ჩამონათვლისათვის დარეგისტრირებულია 40-ზე მეტი ნიშანი, რომლებიც შეიცავენ აღნიშვნებს „MEGA“ და „OMEGA“. არცერთი მათგანი არ არის განხილული საერთაშორისო კლასიფიკაციის 45-ე კლასის სრული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისათვის შ.პ.ს. „ილიონი“ -ს სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების

დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 01 მაისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №512/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „MEGA“ (საიდ. №76296/03) დარეგისტრირებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი “MEGA” და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი “ომეგა OMEGA” არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი განსხვავდება როგორც ფონეტიკური, ასევე ვიზუალური და სემანტიკური თვალსაზრისით, კერძოდ:

როგორც განცხადებული, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენენ კომბინირებულ ნიშნებს. სიტყვიერი აღნიშვნის გარდა, ისინი შეიცავს გამოსახულებას. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი შედგება ორი სიტყვისაგან და იგი შესრულებულია, როგორც ლათინური, ასევე ქართული ანბანის გამოყენებით. ამასთან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია განსხვავებულ ფერებში. კერძოდ, განცხადებული ნიშანი შესრულებულია თეთრი და წითელი ფერებით, დაპირისპირებული ნიშანი კი შავ-თეთრი ფერებით. განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს კიდევ უფრო მეტ განმასხვავებლობას ანიჭებს ორივე ნიშანში არსებული გამოსახულებითი ელემენტების არსებობა, კერძოდ, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი წარმოადგენს წრეში მოთავსებული სამი

ურთიერთპარალელური პარალელოგრამის გამოსახულებას, დაპირისპირებული ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი კი წარმოადგენს ბერძნულ ასოს „ომეგა“, სტილიზებულ გამოსახულებას, რომელიც ასევე წარმოადგენს სტილიზებულ ქართულ ასოს “ო”. გარდა ამისა, განცხადებულ სასაქონლო ნიშანში ლოგო განთავსებულია სასაქონლო ნიშნების დასაწყისში. ხოლო დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში ლოგო განთავსებულია სიტყვიერი აღნიშვნის თავზე. ორივე სასაქონლო ნიშანში ერთმანეთისაგან განსხვავებული, საკმაო მოცულობის, გამოსახულებითი ელემენტის არსებობა განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს საკმაო განმასხვავებლობას ანიჭებს და ორ, სრულიად განსხვავებულ სასაქონლო ნიშნებად აღიქმება.

ზემოაღნიშნული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები, ქართულად განსხვავებულად გამოითქმის: „მეგა“ და „ომეგა“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ორივე ნიშანს გააჩნია სემანტიკური დატვირთვა: “Mega”, ქართულად ნიშნავს - „დიდს“, „უზარმაზარს“; დაპირისპირებული ნიშანი „ომეგა“, კი წარმოადგენს ბერძნული ანბანის ბოლო ასოს, რაც გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას, მათ შორის ასოცირების შედეგად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშნის „MEGA“ (საიდ. 76296/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა ო ვ ე კ ი ტ ა:

1. შპს „შამი“-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 01 მაისის №512/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „MEGA“ (საიდ. №76296/03) დარეგისტრირდეს საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

გ. დუდუჩავა

ი. მუღალაშვილი